

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს კ ა ნ ო ნ ი

მ ა ვ ნ ე ო რ გ ა ნ ი ზ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

მ უ ხ ლ ი 1. ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე მ ა ვ ნ ე ო რ გ ა ნ ი ზ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ა ს ა ე რ თ ო ს ა ზ ო გ ა დ ე ბ რ ი ვ ი დ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ქ მ ე ა . მ ა ს ზ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ნ ა დ ა ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი დ ა მ ო მ ა ვ ა ლ ი თ ა ო ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ე კ ო ლ ო გ ი უ რ ა დ უ ს ა ფ რ თ ხ ო გ ა რ ე მ ო ს უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ო რ ო ბ ა რ ე თ ე ლ ო ბ ა ზ ე , ც ო ც ხ ა ლ ო რ გ ა ნ ი ზ მ ე ბ ზ ე , წ ყ ა ლ ზ ე , ა ტ მ ო ს ფ ე რ უ ლ ჰ ა ე რ ზ ე , ნ ი ა დ ა გ ზ ე , მ თ ლ ი ა ნ ა დ ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ბ ა ლ ა ნ ს ზ ე (ა გ რ ო თ უ , ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ე კ ო ს ი ს ტ ე მ ე ბ შ ი) მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს უ ა რ ყ ო ფ ი თ ი გ ა ვ ლ ე ნ ი ს თ ა ვ ი დ ა ნ ა ც ი ლ ე ბ ა , ა გ რ ე თ ვ ე მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა ს უ რ ს ა თ ი თ . მ უ ხ ლ ი

2. კ ა ნ ო ნ ი ს მ ი ზ ა ნ ი

1. მ ა ვ ნ ე ო რ გ ა ნ ი ზ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს კ ა ნ ო ნ ი ს მ ი ზ ა ნ ი ა : კ უ ლ ტ უ რ უ ლ მ ც ე ნ ა რ ე თ ა , ს ა თ ი ბ ს ა მ ო ვ რ ე ბ ი ს ა დ ა ტ ყ ე ე ბ ი ს მ ა ვ ნ ე ო რ გ ა ნ ი ზ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ (მ ა ვ ნ ე ბ ლ ე ბ ი , დ ა ა ვ ა დ ე ბ ა ნ ი , ს ა რ ე ვ ე ლ ე ბ ი) დ ა ც ვ ა ;

ა დ ა მ ი ა ნ ი ს ო რ ო ბ ა რ ე თ ე ლ ო ბ ა თ ვ ი ს , ფ ა უ ნ ი ს ა დ ა ფ ლ ო რ ა ს ა თ ვ ი ს , ს ა ე რ თ ო დ ბ ი ო ს ფ ე რ ო ს ა თ ვ ი ს მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს ა რ ა ს ა ს უ რ ვ ე ლ ი შ ე დ ე გ ე ბ ი ს თ ა ვ ი დ ა ნ ა ც ი ლ ე ბ ა ;

მ ა ვ ნ ე ო რ გ ა ნ ი ზ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა მ ც ე ნ ა რ ე უ ლ ი წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს დ ა ც ვ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა თ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ს ა ფ უ მ ვ ლ ი ს უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა ;

მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ფ ე რ ო შ ი ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო დ ა რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ა ქ ტ ე ბ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა .

მ უ ხ ლ ი 3. მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი

1. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ა მ უ შ ა ო ე ბ ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს დ ა კ ო ნ ტ რ ო ლ ს უ წ ე ვ ს მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი . ი გ ი მ ო ი ც ა ვ ს მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი , ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ - რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი , რ ა ი ო ნ უ ლ ი დ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ა რ ა ნ ტ ი ნ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ს .

2. მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ს :

მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ კ ა ნ ო ნ ი ს ა დ ა კ ა ნ ო ნ ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ა ქ ტ ე ბ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს კ ო ნ ტ რ ო ლ ს ;

მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ უ რ ი კ ო ნ ც ე ფ ც ი ს , პ ე რ ს პ ე ქ ტ ი უ ლ ი პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი ს დ ა პ რ ო გ რ ო ზ ე ბ ი ს დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ი ს კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი ა ს .

ს ა ს ო ფ ლ ო - ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს ა ვ ა რ გ უ ლ ე ბ ი ს (გ ა ნ უ რ ზ ე ვ ლ ა დ ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ა დ ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ი ს ფ ო რ მ ი ს ა) ფ ო ტ ო ს ა ნ ი ტ ა რ უ ლ დ ი ა გ ნ ო ს ტ ი კ ა ს , მ ა ვ ნ ე ო რ გ ა ნ ი ზ მ ე ბ ი ს გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს პ რ ო გ რ ო ზ ი რ ე ბ ა ს დ ა მ ა თ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ მ ო ლ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ე ბ ი ს კ ო ნ ტ რ ო ლ ს ;

ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ თ ა ნ მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ა ს ;

მ ც ე ნ ი ე რ ე ბ ი ს მ ი ღ წ ე ვ ე ბ ი ს ა დ ა პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი ე ბ ი ს პ რ ო პ ა გ ა ნ დ ა ს , მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ზ ე ს ა ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ო მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ დ ვ რ ა ს .

3. მცენარეთა დაცვის კანონის შესაბამის ღონისძიებებს რაიონებში ახორციელებენ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამსახურები, რომლებიც უფლებამოსილი არიან:

მოითხოვონ და უზრუნველყონ, რომ ყველა მიწათმესაკუთრე და მიწათმოსარგებლე ასრულებდეს მცენარეთა დაცვას.

შეატყობინონ ყველა მიწათმესაკუთრესა და მიწათმოსარგებლეს მავნე ორგანიზმების გამოჩენის, გამრავლების და განვითარების ვადები, მიუთითონ, თუ როგორ გამოიყენონ მათონააღმდეგ ეკოლოგიურად გამრავლებული მეთოდები და საშუალებები, ამასთანავე დაცვან მავნეობის ეკონომიკური ზღვრები და "ლონდონის პერიოდი";

კონტროლი და უწყესონ ნიადაგის, სათბურების, საცავების, საწყობების დეზინფექციას, დეზინსექციას, დერატიზაციას და სხვა რეკომენდებული ტექნოლოგიური ღონისძიებების დაცვას.

მუხლი 4. საკარანტინოსამსახური

1. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს მცენარეთა საგარეო და საშინაო კარანტინის სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სისტემა, რომლის დანიშნულებაც აღკვეთის რესპუბლიკაში მცენარეთა მავნე ორგანიზმების შემოტანა და გავრცელება.

2. მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო სამსახური:

კონტროლს უწევს მცენარეული და სხვა პროდუქციის წარმოების, დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების საკარანტინო წესების დაცვას;

დროულად გამოავლენს, ზედუდავს და სპობს მავნებელ-დაავადებებს და სარეველებს, აღკვეთავს მათს გავრცელებას რეგიონებში;

უზრუნველყოფს, რომ ყველა საწარმო-დაწესებულება და ორგანიზაცია (მიუხედავად მათი საკუთრებისა და სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა), აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც დაკავშირებული არიან მცენარეული პროდუქციის წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და რეალიზაციასთან, ახორციელებდენ მცენარეთა დაცვის საკარანტინო ღონისძიებებს.

მუხლი 5. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოცდა და რეგისტრაცია

1. რეგისტრაციას ექვემდებარება საქართველოში და საზღვარგარეთ წარმოებული პესტიციდების მხოლოდის პრეპარატული ფორმები და ბიოლოგიური საშუალებები, რომლებიც სახელმწიფო გამოცდის პროცესში ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენურად და ეკოლოგიურად დადებითად შეფასდა და დიდი ბიოლოგიური ეფექტურობა გამოავლინა.

2. მცენარეთა დაცვის საშუალებების სახელმწიფო გამოცდის მიზანია მათი ეფექტურობის, ადამიანებისათვის საფრთხის ხარისხის დადგენა.

3. რეგისტრირებული პრეპარატების, მცენარეთა ზრდის რეგულატორების ნუსხის, მათი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების, ხმარების რეგლამენტის და გამოსაყენებლად რეკომენდებული ტექნიკური საშუალებების (მანქანების) სის გამოქვეყნება ხდება პერიოდულად შესაბამისი უწყების მიერ.

რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ პრეპარატები და ზრდის რეგულატორები გამოავლენენ ახალთვისებებს, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას.

მუხლი 6. მცენარეთა დაცვის საშუალებათა ტოქსიკოლოგიურ ჰიგიენური შეფასება

1. გამოსაყენებლად რეკომენდებული მცენარეთა დაცვის საშუალებები ექვემდებარება ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენურ შეფასებას. მათი გამოყენებისას ითვალისწინებენ ტოქსიკურ ნივთიერებათა რეალურ რაოდენობას.

2. მცენარეთა დაცვის საშუალებების ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური შეფასება ტარდება სასურსათო და ცხოველთა საკვებ პროდუქტებში, აგრეთვე, ბუნებაში ტოქსიკურ ნივთიერებათა შემცველობის დასაშვები დოზის და დგენის, ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე არასასურველი შედეგების გამორიცხვის მიზნით.

მუხლი 7. მცენარეთა დაცვის საშუალებათა გამოყენება

1. მცენარეთა დაცვის საშუალებები გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ისინი რეგისტრირებული აქვს შესაბამის უწყებას ნებადართული პრეპარატების სიაში. 2. რეგისტრაციაში გატარებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შემოტანა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი უწყების ნებადართვით, მეცნიერული კვლევისათვის.

3. მცენარეთა დაცვის საშუალებანი, რომლებიც რესპუბლიკაში სამეცნიერო კვლევისათვის დასაცემი სამუშაოებისათვის არაკომერციული მიზნით, აგრეთვე, სახელმწიფო გამოცდისათვის შემოდის, თავის უფლდება საბაჟო გადასახადებისა მოსაკრებლებისაგან.

მუხლი 8. მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოება, შენახვა და ტრანსპორტირება

1. მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოება დასაშვებია მხოლოდ იმ ქიმიურ და ბიოლოგიურ შენაერთებსა და პრეპარატულ ფორმებზე, რომლებზეც დამტკიცებულია შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია.

2. მცენარეთა დაცვის საშუალებების შენახვა შეიძლება შესაბამისი უწყების მიერ გაცემული პასპორტის მქონე სათავსებში, სანაიტარიული მოთხოვნებისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებისამებრ.

3. მცენარეთა დაცვის საშუალებათა ტრანსპორტირება შეიძლება მხოლოდ იმ სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით და ტარით, რომლებიც აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებით და დგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 9. მიწათმოსარგებლეთა ვალდებულება მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას

1. პესტიციდების გამოყენებისას მიწათმოსარგებლები ვალდებული არიან: წინასწარ გააფრთხილონ ადგილობრივი მოსახლეობა და აცნობონ შესაბამის სამსახურებს მცენარეთა დამუშავების ვადა და ადგილი;

მკაცრად დაიცვან პესტიციდების გამოყენების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ნორმები, რეგლამენტი და ტექნოლოგია;

განახორციელონ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკით და დგენილი მოთხოვნები, პესტიციდების ხარჯის, ტრანსპორტირებისა და შენახვის მკაცრი აღრიცხვა.

მუხლი 10. აკრძალვები მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალულია მცენარეთა დაცვის საშუალებათა (შხამ-ქიმიკატების) გამოყენება წყალშემკრებ, წყალსაცავ, დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სათავე ნაგებობებისა და კანონით დადგენილ სხვა განსაკუთრებით საგანგებო ზონებში;

დასაშვებ ნორმაზე მეტი პესტიციდების ნარჩენების შემცველი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოყენება და მისი იმპორტი;

რეგისტრაციაში გაუტარებელი მცენარეთა დაცვის საშუალებების შემოტანა და გამოყენება;

დაავადებული და დაუმუშავებელი თესლის, ნერგების და მცენარეების დაცვის ვადაგასული საშუალებების გამოყენება;

რეგისტრაციაში გაუტარებელი მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოება და ტრანსპორტირება;

იმ ტექნიკური საშუალებების (მანქანების) გამოყენება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არარის აღჭურვილი მუშაობის ხარისხის განმსაზღვრელი საკონტროლო საშუალებებით.

მუხლი 11. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების კონტროლი

1. საქართველოს ტერიტორიაზე მცენარეთა დაცვის საერთო მდგომარეობას კონტროლს უწევს მცენარეთა დაცვის სამსახური.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა "მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" კანონის დარღვევისათვის

1. "მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. საერთაშორისო ხელშეკრულებანი

1. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილია მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

მუხლი 14. კანონში მოცემულ ტერმინთა განმარტებანი

პესტიციდები - მცენარეთა დაცვის საშუალებები, რომლებიც წარმოშობით შეიძლება იყოს ქიმიური, ბიოლოგიური და მცენარეული.

"ლონდონის პერიოდი" - დღეებით გამოხატული დრო პესტიციდით უკანასკნელი დამუშავებიდან მოსავლის აღებამდე.

მავნეობის ეკონომიკური ზღვარი - მავნე ორგანიზმების გავრცელების ინტენსიურობა ან მცენარეთა ხარისხი, როდესაც მცენარეთა დაცვის ღონისძიება ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებულია.

დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია - საცავებში, საწყობებში, სათბურებში შესაბამისად დაავადებების, მავნეობის და მდრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური -

პარლამენტის თავმჯდომარე *ედუარდ შევარდნაძე*.

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი *ვახტანგ გოგუაძე*.

თბილისი,

1994 წლის 12 ოქტომბერი.

**„მ ა ვ ნ ე ო რ გ ა ნ ი ზ მ ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა ც ვ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ “
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ შ ი დ ა მ ა ტ ე ბ ი ს შ ე ტ ა ნ ი ს თ ა ო ზ ა ზ ე**

მუხლი 1. „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, ¹¹21-22, მუხ. 450) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 მუხლი:

„მუხლი 15. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონით გათვალისწინებული კონტროლის ღონისძიებები 2006 წლის 1 იანვრამდე გავრცელდეს მხოლოდ პროდუქციის საქართველოში შემოტანისას, თუ ცნობილია, რომ პროდუქციის წარმოშობის ქვეყანაში არის მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაავადების ფაქტები.
2. საქართველოს მთავრობამ, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოს მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაავადებების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხის გამოქვეყნება სისტემატურად, აღნიშნულ ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 24 ივნისი.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I ”მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, N 21-22, მუხ. 450) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ”ე“ ქვეპუნქტი:

”ე) საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელება-განვითარების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება.“

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ”ვ“ და ”ზ“ ქვეპუნქტები:

”ვ) მცენარეთა დაცვის დარგში სპეციალისტების მომზადებას და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზაციას, მცენარეთა დაცვის საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების კონტროლს;

”ზ) ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის კონსულტაციისა და საინფორმაციო დახმარების გაწევას.“

3. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ”დ“ ქვეპუნქტი:

”დ) ახორციელებს სათესლე და სარგავი პროდუქციის სისაღის შემოწმებას და ექსპორტ-იმპორტის დროს ახდენს მათ სერტიფიცირებას.“

4. მე-10 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ”ვ“ ქვეპუნქტი:

”ვ) თესლისა და სუბსტრატების შემოტანა და გაყიდვა, რომლებიც შეიცავენ საქართველოში არარეგისტრირებულ მცენარეთა დაცვის საშუალებებს (მოქმედ ნივთიერებას) ან რომლებიც არ შეესაბამებიან საქართველოში რეგისტრირებული საშუალებების შემადგენლობასა და მათ მოქმედებას.“

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 9¹ და 12¹ მუხლები:

”მუხლი 9¹

ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებები
მცენარეთა დაცვის სფეროში

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანისა და რეალიზაციის დროს ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან:

ა) არ დაუშვან პესტიციდებით მცენარეული პროდუქციისა და გარემოს დაბინძურება, მათი მავნე ზემოქმედება ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე;

ბ) განახორციელონ რეკომენდებული ღონისძიებანი მცენარეთა იმ მავნე ორგანიზმების მასობრივი განვითარებისა და მომიჯნავე ტერიტორიაზე გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც საშიშია მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანების ჯანმრთელობისათვის.“

„მუხლი 12¹

სახელმწიფო ფიტოსანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელ პირთა უფლებები

1. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული ზედამხედველობის განხორციელება ევალუბათ მცენარეთა დაცვის სამსახურის სახელმწიფო ინსპექტორებს.

2. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელ პირებს უფლება აქვთ:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეამოწმონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, პესტიციდების საწყობების, სათესლე საცავების, მიწის ნაკვეთების ფიტოსანიტარიული მდგომარეობა, გაატარონ მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ღონისძიებების კომპლექსი, დაიცვან მცენარეთა დაცვის საშუალებების შენახვის, ტრანსპორტირების, წარმოების (დაფასოების), რეალიზაციისა და გამოყენების დადგენილი რეგლამენტები;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიიღონ ინფორმაცია ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების, ტყეების, სათიბ-სადოვრების, სათესლე და სარგავი მასალის ფიტოსანიტარიული მდგომარეობისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ;

გ) ინსტრუქციების, რეკომენდაციების, ტექნოლოგიებისა და რეგლამენტების დარღვევის შემთხვევაში შეაჩერონ მცენარეთა დაცვის სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) კონტროლის მიზნით აიღონ მცენარეული პროდუქციისა და ნიადაგის ნიმუშები მათში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრისათვის, პესტიციდების, ბიოლოგიური და სხვა საშუალებების, შეწამლული თესლის ნიმუშები მათი ხარისხის დასადგენად სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.“

6. მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული კონტროლი – მცენარეთა დაცვის სამსახურის საქმიანობა, მიმართული მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების მასობრივი გავრცელების გამოვლენისა და თავიდან

აცილებისათვის, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დარღვევათა გამოსავლენად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული ზედამხედველობა – საშიში მავნე ორგანიზმების აღმოჩენისას მასობრივი გავრცელების მიზეზების გამოვლენა და დადგენა, მავნე ორგანიზმებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარებასა და საშუალებების გამოყენებაზე რეგლამენტების მოთხოვნათა შესრულება.“

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1999 წლის 16 აპრილი.

**„მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, NN21-22, მუხ. 450) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილებანი

1. საქართველოს ტერიტორიაზე მცენარეთა დაცვის სამუშაოებს ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

2. სამინისტრო:

ა) ახორციელებს შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესრულების კონტროლს;

ბ) კოორდინაციას უწევს მცენარეთა დაცვის კონცეფციას, პერსპექტიული პროგრამებისა და პროგნოზების დამუშავებას;

გ) ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (განურჩევლად საკუთრებისა და სარგებლობის ფორმისა) ფიტოსანიტარიულ დიაგნოსტიკას, მავნე ორგანიზმების გავრცელების პროგნოზირებას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების კონტროლს;

დ) საკუთარი კომპეტენციის სფეროში თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ე) პროპაგანდას უწევს მეცნიერების მიღწევებსა და პროგრესულ ტექნოლოგიებს, განსაზღვრავს მცენარეთა დაცვის საშუალებებზე საორიენტაციო მოთხოვნებს;

ვ) ახორციელებს მცენარეთა დაცვის საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების კონტროლს;

ზ) ახორციელებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის კონსულტაციისა და საინფორმაციო დახმარების გაწევას;

თ) ატყობინებს ყველა მიწის მესაკუთრესა და მიწით მოსარგებლეს მავნე ორგანიზმების გამოჩენის, გამრავლებისა და განვითარების ვადების შესახებ, მიუთითებს, თუ როგორ გამოიყენონ მათ წინააღმდეგ ეკოლოგიურად გამრავლებული მეთოდები და საშუალებები, ამასთანავე დაიცვან მავნეობის ეკონომიკური ზღვრები და „ლოდინის პერიოდი“.

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. საკარანტინო სამსახური

1. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს მცენარეთა საგარეო და საშინაო კარანტინის სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სისტემა, რომლის დანიშნულებაც აღკვეთოს სახელმწიფოში მცენარეთა მავნე ორგანიზმების შემოტანა და გავრცელება და ამ მიზნით:

ა) კონტროლი გაუწიოს მცენარეული და სხვა პროდუქციის წარმოების, დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების საკარანტინო წესების დაცვას;

ბ) დროულად გამოავლინოს, შეზღუდოს და მოსპოს მავნებელი დაავადებები და სარეველები, აღკვეთოს მათი გავრცელება რეგიონებში;

გ) უზრუნველყოს, რომ ყველა საწარმო-დაწესებულება და ორგანიზაცია (მიუხედავად მათი საკუთრებისა და სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა), აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც დაკავშირებული არიან მცენარეული პროდუქციის წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და რეალიზაციასთან, ახორციელებდნენ მცენარეთა დაცვის საკარანტინო ღონისძიებებს.“.

3. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების კონტროლი

საქართველოს ტერიტორიაზე მცენარეთა დაცვის საერთო მდგომარეობას კონტროლს უწევს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.“.

4. 12¹ მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული კონტროლი - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობა, მიმართული მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების მასობრივი გავრცელების გამოვლენისა და თავიდან აცილებისაკენ, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დარღვევათა გამოვლენისაკენ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 28 დეკემბერი.

**„მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, NN21-22, მუხ. 450) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. საკარანტინო სამსახური

1. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს მცენარეთა საგარეო და საშინაო კარანტინის სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სისტემა, რომლის დანიშნულებაა აღკვეთოს სახელმწიფოში მცენარეთა მავნე ორგანიზმების შემოტანა და გავრცელება და ამ მიზნით:

ა) კონტროლი გაუწიოს მცენარეული და სხვა პროდუქციის წარმოების, დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების საკარანტინო წესების დაცვას;

ბ) დროულად გამოავლინოს, შეზღუდოს და მოსპოს მავნებელი დაავადებები და სარეველები, აღკვეთოს მათი გავრცელება რეგიონებში;

გ) უზრუნველყოს, რომ ყველა საწარმო-დაწესებულება და ორგანიზაცია (მიუხედავად მათი საკუთრებისა და სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა), აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც დაკავშირებული არიან მცენარეული პროდუქციის წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და რეალიზაციასთან, ახორციელებდნენ მცენარეთა დაცვის საკარანტინო ღონისძიებებს.

2. საქართველოს საზღვრებზე, საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებში, სახმელეთო გასასვლელებში და საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო ღონისძიებების კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2006 წლის 29 დეკემბერი.

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ზ ო გ ი ე რ თ ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ა ქ ტ შ ი
ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი ს შ ე ტ ა ნ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., ¹18, მუხ. 368) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „საქართველო“, „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება“.

2. მე-7 მუხლის პირველ აბზაცში სიტყვა „რესპუბლიკის“ შეიცვალოს სიტყვით „ცენტრალური“.

3. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აბზაცისაგან, ისინი დაინომროს თანამიმდევრობით, არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების აბზაცების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

II „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., ¹21-22, მუხ. 450) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველო“.

2. მე-2 მუხლის ბოლო აბზაცში სიტყვა „რესპუბლიკური“ შეიცვალოს სიტყვით „შიდასახელმწიფოებრივი“.

3. მე-3 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა „რესპუბლიკური“ შეიცვალოს სიტყვით „ცენტრალური“;

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 აბზაცში სიტყვა „რესპუბლიკური“ შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“.

4. კანონის ტექსტში მუხლთა პუნქტების აბზაცების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

III „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995 წწ., ¹27-30, მუხ. 635) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველოს“.

2. კანონის ტექსტში სიტყვა „მთავრობა“ შეიცვალოს სიტყვებით „აღმასრულებელი ხელისუფლება“, ხოლო სიტყვები „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა“ – სიტყვებით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები“.

3. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აზნაცისაგან, ისინი დაინომროს თანამიმდევრობით, არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების აზნაცების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

4. პირველი მუხლის მე-8 პუნქტში სიტყვა „დადგენილებების“ შეიცვალოს სიტყვებით „ნორმატიული აქტების“.

5. მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები „სასაზღვრო ჯარების“ და „უშიშროების სამსახურის“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის“, „სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს“.

6. მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვა „რესპუბლიკური“ შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“, ხოლო „დ“ ქვეპუნქტში – სიტყვით „საქართველოს“.

7. 24-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნები და საწარმოები აწარმოებენ მხოლოდ ვეტერინარულ პრეპარატებს სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომლებიც შედგენილია საერთაშორისო ტექნოლოგიური პროცესებისა და სტანდარტების დაცვით.“

2. საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული ვეტერინარული პრეპარატების ხარისხისადმი უშუალო კონტროლს აწესებს ვეტერინარული პრეპარატების სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრი.“

8. 27-ე მუხლში სიტყვები „სასაზღვრო ჯარების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის“, ხოლო სიტყვა „სამსახურის“ - სიტყვით „სამინისტროს“.

9. 30-ე მუხლის სათაურსა და ტექსტში სიტყვა „საზღვარგარეთის“ შეიცვალოს სიტყვით „უცხო“, ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტში სიტყვები „რესპუბლიკის მმართველობის ცენტრალური“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების“.

10. მე-40 მუხლის მეორე პუნქტში სიტყვა „რესპუბლიკის“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველოს“.

IV. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1997 წლის 16 სექტემბერი.